MES 5 21 0000018701

21/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.12.2020
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:22 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
9. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტივახტანგ ლეჟავა

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ვახტანგ ლეჟავა		რექტორი	I-II-III-IV
1.	ნათია სამუშია		პრორექტორი	I-II-III-IV
1.	მარინა ქარჩავა		პრორექტორი	I-II-III-IV

1.	ანკა თაბუკაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I-II-III-IV
1.	მარიამ გაბუნია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	I-II-III-IV
1.	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერიშაკო თავაძე	I-II-III-IV
1.	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	I-II-III-IV
1.	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	I-II-III-IV
1.	მარიამ ჯაფარიძე		საერთშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	I-II-III-IV
1.	ზაზა მეტრეველი		საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	I-II-III-IV
1.	მურად ყალაბეგაშვილი		მშენებლობიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	I-II-III-IV
1.	აკაკი ფაღავა		ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიისსაბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	I-II-III-IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ირმა ღარიბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
2	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
3	ალექსანდრე წაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
4	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
5	ვალერიან გობრონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
6	შალვა კვირკველია	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	09.12.2011, გადაწყვეტილება N 426
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მშენებლობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	03.07.2012 გადაწყვეტილება N 141
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	122
11	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი დამეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოადგინათ მათი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს წარუდგინა პრეზენტაცია ექსპერტთა დასკვნაში არსებულ ძირითად გარემოებებთან დაკავშირებით.ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ არნიშნა, რომ დისტანციური შეხვედრები 2020 წლის 2-3 ნოემბერს ჩატარდა, მშენებლობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაცის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. მან საბჭოს თავდაპირველად მშენებლობის საბაკალავრო პროგრამის დასკვნა წარუდგენა. მან წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრები: ირმა ღარიბაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, ალექსანდრე წაქაძე და გიორგი მეშველიანი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი, ხოლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა შეადგენდა 240. ექსპერტის თქმით, ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ინტერვიუირება განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სტუდენტთა დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, ბიბლიოთეკართან. ექპერტებთან წინასწარ იქნა გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, რომელიც მათ ვიზიტამდე შეისწავლეს. ექსპერტებმა სასწავლო გარემო ვიზუალურად შეამოწმეს და ფოტოსურათების სახით აუდიტორიებისა და საკონფერენციო დარბაზის ინტერიერი წარმოუდგინეს საბჭოს წევრებს. შემოწმდა ლაბორატორიებიც. ექსპერტის თქმით პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

პირველი სტანდარტი „საგანმანათლელო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“ მოიცავს ორ კომპონენტს. პირველი პროგრამის მიზნები, რაც ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მეორე, პროგრამის სწავლის შედეგები „მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ გაიწერა რეკომენდაციები:
ü მიზანშეწონილია პროგრამის ქვემოთ მოცემული შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონესთან და ფორმულირდეს სხვაგვარად:კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება.
ü კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება.
ü კურსდამთავრებულს შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარებისას ან ობიექტზე პრობლემის წარმოქმნისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი დასკვნის გამოტანა.
ü კურსდამთავრებულს შეუძლია, როგორც დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზაის განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად და წერილობით კომუნიკაცია, მათი დასაბუთება და დაცვა.
აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრება იყო შემდეგი, რომ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად გაუჭირდება ზედამხედველობის, უსაფრთხოების ღონისძიებების

განხორციელება, ასევე რთული დანადგარების დაპროექტება, როგორიცაა მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარი. აქედან გამომდინარე, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონსთან შესაბამისობაში რომ მოვიდეს პროგრამა, გარკვეული ცვლილებები უნდა განხორციელდეს. აღნიშნულ საქმიანობას კურსდამთავრებული უნდა ახორციელებდეს ზედამხედველობის ქვეშ, ან ხელმძღვანელი პირის მითითებების შესაბამისად.
მეორე სტანდარტი „სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა“. აღნიშნული სტანდარტი მოიცავს ექვს კომპონენტს. ესენია: პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; საწავლო კურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; პრაქტიკული სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლა-სწავლების მეთოდები: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა გარკვეული რეკომენდაციები გასცეს, ესენია:

- თვითშეფასების დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია გაწერილია შემდეგი ფორმულირებით „მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი“. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში“. მიზანშეწონილია, პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.
- ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მუხლი პირველიდან ამოღებულ იქნეა 1.4 პუნქტი „საბაკალავრო პროგრამაზე 120 ECTS კრედიტის მიღების შემდეგ, სტუდენტს მოთხოვნის შემთხვევაში ეძლევა შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

კომპონენტი 2.3. რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსში „შრომის დაცვა“ სწავლის შედეგი „შეეძლება შენობა-ნაგებობებში ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების გამოყენება“ ფორმულირდეს სხვაგვარად. სასწავლო კურსი არ მოიცავს ლაბორატორიულ/პრაქტიკულ კომპონენტს, სადაც სტუდენტი შეძლებს ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური საშუალებების გამოყენებას და პრაქტიკული უნარის შეძენას.
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოიცავს პროექტირებას, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თემატიკასთან. კერძოდ პრაქტიკულ მეცადინეობებში აისახოს პროექტირების საკითხები. (სასწავლო კურსის სილაბუსში „ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები2“).
- მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგი „კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება “შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „წყალმომარაგება და წყალარინება“ შედეგებთან. სასწავლო კურსის სილაბუსის მიზნებსა და შედეგებში არ არის გაწერილი პროექტირების საკითხები.
- მიზანშეწონილია „საველე პრაქტიკის“ სასწავლო კურსში გასწორდეს აღწერითი ნაწილი -„ბიზნეს გეგმების შექმნაში დახმარება და უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ბიზნეს ორგანიზაციებისთვის“. აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ცოდნა და უნარები საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტს ვერ ექნება.

კომპონენტი 2.4

- სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია და რა ვადით, პრაქტიკისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.

კომპონენტი 2.6

- სასწავლო კურსში „ფუძე-საძირკვლების პროექტი“ გაწერილი შეფასების კრიტერიუმი „სტუდენტის კრეატიულობის შეფასება“ ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით.

- სასწავლო კურსში „საველე პრაქტიკა“ გაწერილი შეფასების კრიტერიუმი „პროფესიონალიზმი“, ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით.

აღნიშნულის გათვლისწინებით, ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მეორე სტანდარტი არის მეტწილ შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციებიც:
ა) მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი - მაგისტრანტს ექნება ცოდნა: “შენობების აღჭურვის შესახებ წყალმომარაგების, წყალარინების, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით”. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს სასწავლო კურსს, რომელიც აღნიშნულ ცოდნას მისცემს სტუდენტს.
ბ) მიზანშეწონილია სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია კომპანიას და რა ვადით, კვლევების/პრაქტიკისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.
გ) სასწავლო კურსის სილაბუსებში, სადაც შეფასების კრიტერიუმად გაწერილია „სტუდენტის კრეატიულობის შეფასება“, ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით.
დ) სასურველია, დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშის პირველი და მეორე სტანდარტის გასაუმჯობესებელი მხარეები განსაზღვროს სტანდარტების კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს სიღრმისეული პრეზენტაციისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები საკმაოდ საინტერესო იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა თავდაპირველად მადლობა გადაუხადა ექპერტებს პროდუქტიული ვიზიტისათვის. რეკომენდაციების გარკვეულ ნაწილთან დაკავშირებით დაწესებულებას განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა, რაც მათ წერილობითაც ჰქონდათ წარმოდგენილი. ასევე, იგი ნაწილობრივ დაეთანხმა, რომ სწავლის შედეგები არტიკულაციის თვალსაზრისით შესაძლოა მოსულიყო შესაბამისობაში ბაკალავრიატის კვალიფიკაციის დონესთან. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა იმ ჩანაწერს, რომ ბაკალავრს არ შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, მისი თქმით აქ უფრო საუბარი იყო საინჟინრო სფეროში გადაწყვეტილებისა და სტრუქტურების სირთულეზე. ბაკალავრს, მაგალითად, დამოუკიდებლად შეუძლია ავტოფარეხის აშენება. თუ ის ამას ვერ შეძლებს, არ უნდა მიენიჭოს კვალიფიკაცია. მისი თქმით, შესაძლებელია გამოყოფა არტიკულიაციის თვალსაზრისით ისეთ საქმიანობებისა, რომელსაც ბაკალავრი დამოუკიდბლად გაართმევს თავს, ან რომელ საქმეშიც ზედამხედველობა დასჭირდება. მისი თქმით, ევროკავშირის კანონმდებლობა გვასწავლის, რომ განათლების საფეხურის ცოდნა შესაძლოა კომპენსირებული იყოს შესაბამისი პრაქტიკით. აქედან გამომდინარე, გარკვეული ფორმულირებები საჭიროებდა დაზუსტებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით, მეტწილად, ტექნიკური შენიშვნები იყო წარმოდგენილი. ერთადერთი, რაშიც დაწესებულების წარმომადგენელი ექსპერტებს არ დაეთანხმა ეს იყო, საინჟინრო გადაწყვეტებისას კრეატიულობის შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. მისი აზრით, ეს წარმოადგენდა პროფესორის დისკრეციას და მას შეეძლოშეფასების ასეთი კრიტერიუმი ჰქონოდა. მეორეს მხრივ, ინჟინრებს აკლიათ სწორედ კრეატიულობა, ინჟინერია არაა ზუსტი სფერო, ყველა პრობლემას აქვს რამდენიმე პასუხი, ხოლო ამ პასუხებიდან ყველაზე ეფექტიანის ამორჩევა მოითხოვს პროფესიონალისგან კრეატიულობას. საინჟინრო პრობლემის კონცეპტუალური გადაწყვეტა მოითხოვს სწორედ შემოქმედებითობას, კრეატიულობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზები, რაც ექსპერტებმა მიუთითეს რეკომენდაციებში, გამოსწორებული იყო და შესაბამისი ცვლილებები აისახა სილაბუსებიც შეიცვალა. ექსპერტმა უპასუხა,რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ მომზადებულ არგუმენტირებულ პოზიციას და მათთვის სრულიად მისაღები იყო. 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტის განმარტებით სილაბუსში არ არის ლაბორატორიული პრაქტიკული სამუშაო, როდესაც ჩანაწერში მითითებულია, რომ სტუდენტს შეეძლება რომელიმე კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენება, მას უნდა ჰქონდეს ან ლაბორატორიული მუშობის ან პრაქტიკული გამოცდილება, სადაც უშუალოდ ექნებოდა შეხება კონკრეტულ საკითხებთან.ეს არ ჩანდა პროგრამაში და რეკომენდაცია დარჩა ძალაში. რაც შეეხება, წყალმომარაგებისა და წყალარინების დანადგარების დაპროექტებას,

ექსპერტმა განმარტა, რომ ეს ჩანაწერი არის პროგრამის შედეგში, აღნიშნულთან დაკავშირებით სილაბუსის მიზანსა და შედეგებში ჩანაწერი არ მოიპოვება. აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, თუ კი პროგრამაში მითითებულია დაპროექტება, მაშინ სილაბუსის მიზანსა და შედეგებშიც იყოს გაწერილი დაპროექტების საკითხები, თუ კი არ იქნება გაწერილი, მაშინ აღნიშნული საკითხები პროგრამიდანაც იქნეს ამოღებული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ რეკომენდაცია უნივერსიტეტის მხრიდან გათვალიასწინებული იქნა. დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო „საველე პრაქტიკის“ სასწავლო კურსთან დაკავშრებით გაცემულ რეკომენდაციებს, მისი თქმით ეს იყო საუნივერსიტეტო საგანი, რომელიც ძალიან კარგად მუშაობდა, როგორც მისი შეფასების კრიტერიუმი, ასევე მიზანი. ექსპერტმა განმარტა, რომ საველე პრაქტიკის საგანთან დაკავშირებით მითითებული იყო ბიზნეს გეგმის შექმნაში დახმარება და უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. ექსპერტების აზრით, თუ კი ეს სასწავლო კურსი წარმოადგენდა საერთო საუნივერსიტეტო საგანს, ასეთ შემთხვევაში ინჟინერიის მიმართულებით შესაძლებელია, რომ გარკვეული ცვლილება განხორციელებულიყო და ამოღებულიყო გარკვეული ტერმინები, იქიდან გამომდინარე, რომ პირველ კურსზე არ ჩანს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ამის კომპეტენციას შესძენს სტუდენტებს ინჟინერიის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჯგუფები იყო შერეული, სხვადასხვა მიმართულების სტუდენტებისგან შემდგარი, კოორდინატორებიც სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ. ყველა მიმართულები შემთხვევაში შეიძლება ეს არ ამართლებდა, თუმცა რიგ მიმართულებებში კარგი შედეგი ჰქონდა. თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსს სხვა, დანიშნულება მოეხდინა და მისი აზრით, კურსის არსებობას პროგრამაში არ უნდა ჰქონოდა აკრედიტაციის სტანდარტის შეფასებაზე გავლენა. დაწებულების წარმომადგენელმა ახსენა ასევე რჩევა რუსულის სწავლებასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ეს მოსაზრება წამოვიდა, როგორც კურსდამთავრებულებისგან, ასევე დამსაქმებლებისგან.

საბჭოს წევრმა, ირმა წერეთელმა გამოყო ანთროპოლოგიის კურსი, სადაც სამი დისციპლინაა კურსში ჩართული. თუ ზოგად ანთროპოლოგიაზე კეთდებოდა აქცენტიფილოსოფიური ანთროპოლოგია რატომ არ იყო გათვალისწინებული.კურსი მოდულებად იყოფოდა და ერთი მოდულის ჩაბარება იყო შემდეგ მოდულზე გადასვლის წიაპირობა. იგი დაინტერესდა თუ სტუდენტმა ვერ ჩააბარა ბოლო მოდული და ჩაბარებული აქვს ყველა სხვა მოდული, ამ შემთხვევაში რა შედეგი დადგებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა გამარტა, რომ დაახლოებით ათი წელია ანთროპოლოგია ისწავლებოდა, ზოგად საუნივერსიტეტო კურსად, ეს კურსი გავლილი ჰქონდა უკვე დაახლოებით ათასობით სტუდენტს. ამ კურსის დიზაინი იყო ხანგრძლივი გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგი, მასზე საავტორო უფლება ჰქონდა ანა მგელაძეს, ათროპოლოგიის პროფესორს. კურსი იკითხებოდა სამ მოდულად, პირველ კურსზე: სოციალური ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, პალეოანთროპოლოგია. პროფესორები თვლიდნენ, რომ უკეთესი იყო ერთ მოდულს გახსნიდა მეორე მოდული. საბჭოს წევრმა დააკონკრეტა კითხვა, პრაქტიკულად რა ხდებოდა თუ კი სტუდენტი ჩააბარებდა ორ მოდულს და მესამეს ვერა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რადგან წინაპირობაა, ჩაიჭრებოდა. სასწავლო კურსის ავტორის დასაბუთება მისაღები აღმოჩნდა დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის თავის დროზე, რადგან იგი მიიჩნევდა, რომ სამივე მოდული უნდა ყოფილიყო დაძლეული სტუდენტის მიერ, რომ თავად სასწავლო კურსი ჩათვლილიყო დაძლეულად.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა განმარტება გაეკეთებინათ სამაგისტრო პროგრამის დასკვნაში 1.1 და 2.6 კომპონენტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე. რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში გაწერილია ისეთი მიზნები რომლის შესაბამისი საკითხებ ან სასწავლო კურსების სწავლება არ არის გათვალისწინებული პროგრამით. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებას დაწესებულების წარმომადგენლებიც რაც შეეხება მეორე სტანდარტს, აქაც იყო რეკომენდაციები ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და აღნიშნული გაიწერა სტანდარტის ერთ-ერთი შეფასების კრიტერიუმიდან გამომდინარე. კომპონენტი 2.6 „სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც შეფასების კრიტერიუმად გაწერილია სტუდენტის კრეატიულობის შეფასება ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით“ - ეს იყო ძირითადად სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ორივე პროგრამის შემთხვევაში იყო ძირითადად იდენტური, არგუმენტებიც იქნებოდა იგივე, რაც უკვე საბჭოზე დამსწრე საზოგადოებამ უკვე მოისმინა. მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა წარმოედგინათ თუ რამის დამატებას ისურვებდნენ, თუ არა, საბჭო გავიდოდა სათათბიროდ. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ითხოვა დამატებითი განმარტება, მიზნის კორექტირება და მიზნიდან, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ამოღება, როგორიცაა წყალმომარაგება, წყალარინება, გათბობა, ვენტილაციის სისტემები. თავის მხრივ გამოიწვევდა პროგრამის

დაკორექტირებას, ვინაიდან პროგრამის მიზნები უნდა იყოს შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგებთან. იგი დაინტერესდა საუბარი იყო ტექნიკურად მიზნის კორექტირებაზე თუ ეს მოითხოვდა პროგრამის შინაარსის ცვლილებასაც. ექსპერტმა განმარტა, რომ მიზანი და სწავლის შედეგები, რა თქმა უნდა, ერთმანეთთან კავშირში იყო, შემდგომ უკვე სასწავლო კურსის სილაბუსები და გაწერილი თემატიკა. ექრსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია რომ ამოღებულ იქნას მიზნებიდან გარკვეული ჩანაწერი, თუმცა შესაძლებელია დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც გაიყვანს სტუდენტს აღნიშნულ შედეგზე. კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისობაში, მაგრამ ვინაიდან პირველი სტანდარტის მეორე კომპონენტი იყო სრულ შესაბამისობაში, ამიტომ მთლიანად სტანდარტი გამოვიდა სრულად შესაბამისი. დაწესებულების წარმომადგენელმაც გააკეთა მცირე კომენტაი, მისი თქმით, სწავლის შედეგი არ წარმოადგენს ფუნდამენტურ საკითხს მსენებლის კვალიფიკაციისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:01
დასრულების დრო: 16:38

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1.მიზანშეწონილია პროგრამის ქვემოთ მოცემული შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონესთან და ფორმულირდეს სხვაგვარად:
-კურსდამთავრებულს შეუძლია სამშენებლო უბანზე ზედამხედველობისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება.
-კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება.
-„კურსდამთავრებულს შეუძლია ნაგებობის ექსპერტიზის ჩატარებისას, ან ობიექტზე პრობლემის წარმოქმნისას სიტუაციის გაანალიზება და სწორი დასკვნის გამოტანა“.
-„კურსდამთავრებულს შეუძლია როგორც დაპროექტებისას, ასევე პროექტის განხორციელებისას ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების ვერბალურად და წერილობით კომუნიკაცია, მათი დასაბუთება და დაცვა“.
2. თვითშეფასების დოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია გაწერილია შემდეგი ფორმულირებით - „მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი“, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამაში შემდეგი ფორმულირებით - „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში“. მიზანშეწონილია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

3. ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მუხლი 1-იდან ამოღებული ქნეს 1.4 პუნქტი „საბაკალავრო პროგრამაზე 120 ECTS კრედიტის მიღების შემდეგ, სტუდენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა შუალედური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი“.
4. იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოიცავს პროექტირებას, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თემატიკასთან. კერძოდ პრაქტიკულ მეცადინეობებში აისახოს პროექტირების საკითხები. (სასწავლო კურსის სილაბუსში „ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები 2“).
5. მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგი „კურსდამთავრებულს შეუძლია შენობაში წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელისა და მიკროკლიმატის შესაქმნელი დანადგარების დაპროექტება“ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის „წყალმომარაგება და წყალარინება“ შედეგებთან. სასწავლო კურსის სილაბუსის მიზნებსა და შედეგებში არ არის გაწერილი პროექტირების საკითხები.
6. მიზანშეწონილია „საველე პრაქტიკის“ სასწავლო კურსში გასწორდეს აღწერითი ნაწილი-„ბიზნეს გეგმების შექმნაში დახმარება და უფასო იურიდიული დახმარების გაწევა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ბიზნეს ორგანიზაციებისთვის“. აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად საჭირო ცოდნა და უნარები საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტს ვერ ექნება.
7. სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული ქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია და რა ვადით, პრაქტიკისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და დასკვნაში ასახული შეფასება:

ა) მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი - მაგისტრანტს ექნება ცოდნა: “შენობების აღჭურვის შესახებ წყალმომარაგების, წყალარინების, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით”. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს სასწავლო კურსს, რომელიც აღნიშნულ ცოდნას მისცემს სტუდენტს.
ბ) მიზანშეწონილია სამშენებლო კომპანიებთან გაფორმებულ ხელლშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია კომპანიას და რავადით, კვლევების/პრაქტიკისა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად.
გ) სასწავლო კურსის სილაბუსებში, სადაც შეფასების კრიტერიუმად გაწერილია „სტუდენტის კრეატიულობის შეფასება“, ჩანაცვლდეს სხვა კრიტერიუმით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

3. მესამე საკითხი : ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება N. 269
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ელექტროინჟინერია და მართვის ავტომატიზებული სისტემები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

4. მეოთხე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	03.07.2012 გადაწყვეტილება N 141
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საინჟინრო ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240, თბილისი 0159, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე და მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დამსწრე მხარეებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების სილაბუსებში: ლიტერატურა და ხელოვნება, აზროვნების მათემატიკური წესი მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში: მუშაობა ორგანიზაციაში, ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2-ის გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზები -შეფასებების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად: შუალედური ტესტი 15 ქულით ფასდება, ხოლო რუბრიკა 10 ქულაზეა დათვლილი);
- სასწავლო კურსების სილაბუსებში: ბუნებისმეტყველება, პროგრამირება და ჩაშენებული სისტემები, საინჟინრო გრაფიკა I, ციფრული მართვა I და ციფრული მართვა II დეტალურად გაიწეროს შუალედური და ფინალური შეფასების რუბრიკები;
- დეტალურად გაიწეროს სტუდენტების მიერ გამოცდების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკვშირებით აღნიშნა რომ ამ თემასთან დაკავშირებით არაერთხელ ყოფილა განმარტება გაკეთებილი მათი მხრიდან. მისი თქმით, თუ გასაჩივრებას არ აქვს კრიტერიუმი ან ბარიერი, შეიძლება ნებისმიერმა სტუდენტმა ნებისმიერი შეფასება გაასაჩივროს. შემდეგ უნდა შეიკრიბოს კომისიები, შესაძლოა სააპელაციო კომისიებიც. ამასთან დაკავშირებით სხვა პროგრამის განხილვის დროსაც ყოფილა საუბარი. ექსპერტმა განმარტა, რომ საუბარი იყო იმაზე, რომ გასაჩივრების მექანიზმი არსებობს. დოკუმენტებში მითითებული იყო, სტუდენტის უფლებების შესახებ გასაჩივრებასთან დაკავშირებით, თუმცა არ იყო მითითებული გასაჩივრების წესები. ექსპერტის თქმით, დეტალები არ იყო გაწერილი დოკუმენტში, რაც ნათელს გახდიდა გასაჩივრების პროცესს სტუდენტისათვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მადლბა გადაუხადა. მისი თქმით, ნამდვილად იყო სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზები ნაპოვნი, რასაც დაწესებულება დაეთანხმა და გაითვალისწინა. ექსპერტს სურდა თავისი მოსაზრების დამატება, მისი თქმით პროგრამამ ძალიან პოზიტიური შთაბეჭდილება დატოვა, აქვს ძალიან ძლიერი მხარეები, ესაა გამართული ინფრასტრუქტურა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მოდელი, პრაქტიკული უნარების განვითარებისა და დასაქმების რეალური შესაძლებლობა.
საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა, კონცეტრაციების საკითხთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა, მომავალი კურსდამთავრებულები სად გადიოდნენ პრაქტიკას თავისი პროფილის მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს უნივერსიტეტს 12 ორგანიზაციასთან, ეს არის რეალურად მომუშავე ორგანიზაციები: „ატლანტიკ ჯორჯია“, „მონტაჟ ჯორჯია“, „ჯიდიეს ელექტრონიქსი“ და ასე შემდეგ. ასევე, დაწესებულებას აქვს ურთიერთობა ბანკებთან და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით. ძირითადად სამუშაო მიდის პროგრამული უზრუნველყოფის სერვისში. კომპიუტერული ინჟინერიის სტუდენტები მონტაჟ ჯორჯიაში გადიან პრაქტიკას, დანარჩენი ავტომატიზაციის სტუდენტები სხვადასხვა ორგანიზაციებში.
ექსპერტმა განაგრძო სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხილვა:

- სასწავლო კურსების სილაბუსებში: დარგობივი ინგლისური-ინჟინერია და ციფრული ფილტრების პროექტირება გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზები (შეფასებების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს)
- სასწავლო კურსის სილაბუსში: მონაცემთა ანალიზი, მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;
- სასწავლო კურსის სილაბუსი:კომპიუტერული ქსელები მაგისტრატურის დონეზე სასწავლო კურსს აქვს ბაკალავრიატის პროგრამის იგივე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული მიზანი, შედეგები, ძირითადი ლიტერატურა მეორდება. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს დროს განმარტებული იქნა რომ სწავლება მიმდინარეობს უფრო სიღრმისეულად,რეკომენდირებულია,გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი ამ თვალსაზრისით.
- დეტალურად გაიწეროს სტუდენტების მიერ გამოცდების გასაჩივრების(აპელაციის)მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური შეცდომები მთლიანად გასწორებული იყო. მისი თქმით, შესაძლოა ერთი შეხედვით მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის პროგრამები ერთმანეთს გავდა, თუმცა, რეალურად , მაგისტრატურის პროგრამა დონის შესაბამისი სირთულის იყო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:58
დასრულების დრო: 17:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

ა) სასწავლო კურსების სილაბუსებში: ლიტერატურა და ხელოვნება, აზროვნების მათემატიკური წესი მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;
ბ) სასწავლო კურსების სილაბუსებში: მუშაობა ორგანიზაციაში, ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2-ის გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზები -შეფასებების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად: შუალედური ტესტი 15 ქულით ფასდება, ხოლო რუბრიკა 10 ქულაზეა დათვლილი);
გ) სასწავლო კურსების სილაბუსებში: ბუნებისმეტყველება, პროგრამირება და ჩაშენებული სისტემები, საინჟინრო გრაფიკა I, ციფრული მართვა I და ციფრული მართვა II დეტალურად გაიწეროს შუალედური და ფინალური შეფასების რუბრიკები;

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

ა) სასწავლო კურსების სილაბუსებში: დარგობივი ინგლისური-ინჟინერია და ციფრული ფილტრების პროექტირება გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზები (შეფასებების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს)

ბ) სასწავლო კურსის სილაბუსში: მონაცემთა ანალიზი, მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;

გ) სასწავლო კურსის სილაბუსი:კომპიუტერული ქსელები მაგისტრატურის დონეზე სასწავლო კურსს აქვს ბაკალავრიატის პროგრამის იგივე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული მიზანი, შედეგები, ძირითადი ლიტერატურა მეორდება. მიუხედავად იმიასა, რომ ინტერვიუს დროს განმარტებული იქნა რომ სწავლება მიმდინარეობს უფრო სიღრმისეულად,რეკომენდირებულია,გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი ამ თვალსაზრისით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა